

მხედველობის დარღვევის მქონე მოსწავლეების დამოუკიდებლობის
ხელშეწყობა საკლასო სივრცეში

ნინო ხიმშიაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის,
ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე სპეციალური განათლების მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

სამაგისტრო პროგრამა : სპეციალური განათლება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მარიამ მიქიაშვილი,

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

სარჩევი

სარჩევი.....	II
აბსტრაქტი.....	IV
მადლობა	VI
ტერმინთა განმარტება.....	VII
შესავალი	1
I. ლიტერატურის მიმოხილვა	4
1.1 დამოუკიდებლობის ხელშეწყობა	4
1.2 სტანდარტები, მოვალეობები და კანონები	5
1.3 ცნებების სწავლება და დამოუკიდებლობის ხელშეწყობა	10
1.4 მშობლის როლი მოსწავლის განვითარებისთვის	12
II. მხედველობის დარღვევა.....	14
2.1 რას მოიცავს მხედველობის დარღვევა და უსინათლობა	14
2.2 მხედველობის დარღვევის დიაგნოსტიკა	15
2.3 მხედველობის დარღვევის მქონე მოსწავლეების სწავლება.....	16
2.4 მასწავლებლის როლი და ბრაილის შრიფტი	18
2.5 ფიზიკური გარემოს მოწყობა	23
III. კვლევის მეთოდოლოგია	24
3.1 კვლევის მეთოდები.....	24
3.2 კვლევის მონაწილეები.....	24
IV. მხედველობის დარღვევის მქონე და უსინათლო მოსწავლეების სწავლება თბილისის №202 საჯარო სკოლაში.....	26
4.1 კვლევის შედეგები.....	26
4.2 საკლასო გარემო და რესურსები	44
4.3 საჭიროების შემთხვევაში დამატებითი მომსახურება.....	44
4.4 მოსწავლეთა დამოუკიდებლობა საკლასო სივრცეში.....	45
V. დასკვნა და რეკომენდაციები	47
დამატებითი კომენტარი	50

დანართი.....	53
გამოყენებული ლიტერატურა.....	51

აბსტრაქტი

სამაგისტრო ნაშრომის მიზანია შეისწავლოს, რამდენად სათანადოდ ხდება მხედველობის დარღვევის მქონე მოსწავლეებში დამოუკიდებლობის ხელშეწყობა, საკლასო სივრცეში თბილისის 202-ე მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვების სკოლის მაგალითზე. არსებული კვლევა გულისხმობს, იმ საჭიროებების და სირთულეების გამოვლენას, რომელიც მათ ხვდებთ განათლების მიღების დროს. ეს ნაშრომი ერთგვარად მიმოიხილავს: მიდგომებს, სტარტეგიას, მეთოდებს. აგრეთვე ეხება მასწავლებლების მიერ გამოყენებულ მეთოდოლოგიას, თუ როგორ აუმჯობესებენ საგაკვეთილო პროცესში, მოსწავლეთა დამოუკიდებლობის ხარისხის და რა დოკუმენტს ეყრდნობიან მუშაობის პროცესში.

კვლევის ჩასატარებლად გამოყენებულია თვისებრივი კვლევა, კერძოდ: დაკვირვება, სტრუქტურირებული და ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუ. აღნიშნული მეთოდებით კვლევის შედეგები ერთობლივად გვიქმნის წარმოდგენას, სკოლაში სწავლა-სწავლების პროცესზე, მასწავლებელთა პროფესიონალიზმზე და მოსწავლეთა დამოუკიდებლობის ხარისხზე. კვლევამ აჩვენა, რომ მასწავლებლებთა მრავალფეროვანი მეთოდების და გეგმების გამოყენების მიუხედავად, ისინი ნაკლებად იცნობენ გაფართოებულ კურიკულუმს. სავარაუდოდ ეს შედეგი იქედან გამომდინარეობს, რომ არსებული დოკუმენტი საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ არ არის დამტკიცებული.

საკვლევი თემა საინტერესო არა მარტო კონკრეტული სკოლის მასწავლებლების, სტუდენტებისა და მშობლებისთვის, არამედ ყველა იმ ადამიანისთვის, ვინც მხედველობის დარღვევის მქონე მოსწავლეებთან მუშაობს.

Abstract

The purpose of this Master's Thesis, is to research how properly in the classroom is the independence of visually impaired pupils supported, based on example of Tbilisi 202th school for visually impaired.

This current research implies to identify the needs and reveal difficulties, which they face to, while getting education. This paper summarizes how the teachers improve and contribute to development the quality of the independence of their students in the classroom, what kind of documents they rely on when they are working on increasing the quality of the independence.

The qualitative study tools were used as a research methodology, namely observation, structural and unstructured interviews. This method provides us with a view on a teaching process at school, how the teachers become gradually professionals and how they are trying to empower the independence skills of the pupils. Research has shown that despite the use of different methods and plans by teachers, they are less familiar with the extended curriculum. Most probably it is caused by the reason, that the extended curriculum is not officially legalized by the ministry of education, science, culture and sport.

The topic is interesting not only for the teachers, students and parents at the 202th school in Tbilisi but also for all those who work as a professional with visually impaired pupils in general.

მადლობა

მადლობა მინდა გადავუხადო ქალბატონ მარიამ და ანა მიქიაშვილებს, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობისთვის. მარიამი აქტიურად იყო ჩართული არსებული ნაშრომის კვლევის პროცესში, დამაკავშირა მასწავლებლებთან, პრობლემის წარმოქმნის შემთხვევაში წინასწარ მაგეგმინებდა ალტერნატიულ გზებს. კვლევის პროცესში ვგეგმავდით შეხვედრებს. მაკონკრეტებინებდა კვლევის თემას. ჩამომაცალიბებინა ინტერვიუს კითხვები და მამლევდა რჩევებს სკოლაში რას უნდა დავკვირვებოდი და კონკრეტულად რა საკითხებზე გამემახვილებინა ყურადღება. მუდმივად დახმარებისთვის მზად იყო. ასევე მადლობა მინდა გადავუხადო ქალბატონო თინათინ ჭინჭარაულს, სკოლის დირექტორს, სპეც მასწავლებლებს, დაწყებით კლასების მასწავლებლებს, მშობლებს და მოსწავლეებს, იმისთვის რომ ნება მომცეს კვლევის ჩატარების.